312

№ 248. სამშაბათი, 8 ივლისი, 1896—1897 სამშაბათი, 8 ივლისი, № 248.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა

საყურადღებოდ.

ვისაც

ხვედრი ფული

არ შემოუტანია,

იმათ გაზეთის

გზავნა

მოესპობა.

გაზეთი

«ცნობის ფურცელი»

წლის დამლევამდე ღირს

ოთხი |4| მან.

«საქართველოს კალენდრით»

მ. კ.პრესმანი

უსრულებს დავალებას, ვისაც ჰსურს იყიდოს, გაჰყიდოს, დააგიროს, ანუ გადააგიროს მამულები. კონტორას ჰყავს თავისი „ლესნიჩი“, რომელიც შეადგენს მამულების გეგმებს და დააფასებს.

კონტორა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, „მეტროპოლის“ ნომრებში, № 17, ახალის თეატრის პირდაპირ. (20—14)

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ. (8—7)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Т ймуразу Чачава. (300—140)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

მაქვს ატლასსა და აბრეშუმზე ფოტოგრაფიულად გადაღებული ცნობილ და გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები
ბალიშის პირის გადასაკვრელი,
ფანჯრების ფარდების მოსართავი,
პორტფელების სურათები და ფარფორზე დახატული სურათი.
აბაჟურები შვიდი და ოთხი სურათიანი.
აბრეშუმის ცხვირსახოცები.
წიგნის ჩასანიშნები მწერლების სურათებით.
ვღებულობ აგრეთვე ამ ხელობის შესასწავლებლად შეგირდებს, როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებსა.
დაკვეთა შეიძლება ყველა ზემოდ აღნიშნულ ნივთებისა შემდეგის ადრესით:
ტფილისი, პატარა განქის ქუჩა № 5.
ა. როდიონოვისა.
(7—3)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—შ. კ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. არშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
(წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

6 ივლისი.

ბათომი. 5 ივლისს დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე სამხედრო გემით „ერიკლიკ“-ით „რუსეთის საზოგადოების“ ნავთსაყუდელში მობრძანდნენ. დიდი მთავრინა და დიდი მთავარი საუზმის შემდეგ რკინის გზით ბორჯომს წაბრძანდნენ.

სიმფეროპოლი. სევასტოპოლის რკინის გზის სადგ „სინელნიკოვო“-ზედ საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა.

ტეგერნზე. რადგანაც კარგი ამბები მოდის გერმანიის იმპერატორის ჯანმრთელობის შესახებ, იმპერატრიცამ გარდასწყვიტა ტეგერნზეს დარჩეს.

ათინა. როგორც სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან, სახელმწიფოთ სამხედრო კონტრიბუცია 4 მილიონამდე შეუმცირებიათ.

ლონდონი. „სტანდარდ“-ს აუწყებენ დეპეშით კონსტანტინოპოლიდგან: „როდესაც ელჩებს ბარონ კალიცესთან ბჭობა ჰქონდათ, მათთან მივიდა თევთიკ-ფაშა და აცნობა, რომ სულთანი პრინციპიალურად თანახმაა მშვიდობიანად მორიგებაზედ და მზადაა ხელ-შეკრულობას ხელი მოაწეროსო.“

ოფიციალური ცნობა: „სწორედ იმ დროს, როდესაც ჯევათ-ფაშა კრიტოსზედ წასასვლელად ემზადებოდა, ბრძანება მიიღო, რომ კონსტანტიპოლში დარჩეს.“

სტამბოლი. როგორც თევთიკ-ფაშას მიერ ელჩების ბჭობის დროს ნათქვამ სიტყვიდგან სჩანს, მშვიდობიანი მორიგების საქმე რამდენისამე სხდომის შემდეგ სრულიად გათავებული იქნება.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. სოციალისტი ბუაიე დაეკითხა—რა მდგომარეობაშია ამ ჟამად კონსტანტინეპოლში მოლაპარაკების საქმეო და თანაც დასძინა, პორტა რაღაცა ხრიკებსა სძებნისო. დასასრულ, ბუაიე ამტკიცებდა,—საფრანგეთს რომ კონსტანტინეპოლის წინაშე დემონსტრაცია მოეხდინა, საქმე დიდის ხნის გათავებული იქნებოდაო. ჰანოტომ მთავრობის პოლიტიკა განუმარტა. ჰანოტოს სიტყვას ტაშის კვრით შეეგებნენ. გობლემ წინააღმდეგობა განაცხადა. გობლემ გაჰკიცხა მთავრობის პოლიტიკა საბერძნეთის შესახებ; გაჰკიცხა აგრეთვე იმის გამო, რომ საბერძნეთის ფლოტს მოქმედების ნება არ მისცეს. ამ პოლიტიკამ, მართალია, ომი შესწყვიტა, მაგრამ სამაგიეროდ გერმანიას უპირატესობა მიანიჭა და ოსმალეთის ამაღლებას ხელი შეუწყო მაშინ, როცა საფრანგეთს ამ პოლიტიკამ სრულიად დაუკარგა მნიშვნელობაო. ოსმალეთში ცვლილებათა შეტანის საქმე და კრიტიკოსის ავტონომია ჯერ დარდაწყვეტილი არ არის და ოსმალეთი-კი თესალიის სიმდიდრით სარგებლობსო. ამის გამო ორატორი მთავრობის პოლიტიკასა ჰკიცხავს. მელინმა უპასუხა, რომ საფრანგეთის მთავრობას არაკითარი დანაშაული არ მიუძღვისო. დამნაშავე თითონ საბერძნეთია, რომელსაც პალატის წევრებივე აქეზებდნენ და რომელმაც ევროპის რჩევა უარ-ჰყოვო. საფრანგეთს რომ საბერძნეთისათვის თანაგრძნობა განეცხადებინა, როგორც გობლე თხოულობს, ეს ხომ პირდაპირ ომის გამოცხადება იქნებოდაო და ის-კი გვავიწყდება, რომ ოსმალეთს ჯკან სხვა სახელმწიფო ჰყავდა ამოფარებულიო. მთავრობა დანარჩენ სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას ემორჩილებოდა და ეს იყო მიზეზი, რომ საფრანგეთმაც შუამავლობა დაიწყოო. სახელმწიფოთა ძალას მათი თანხმობა წარმოადგენდა და თუ ყურადღებას მივაქცევთ, ამ ბოლოს დროს გერმანიაც-კი იმასა სცდილობს, რომ სულთანი სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას დაუმორჩილოსო. (ტაშის-კვრა ისმის.) შემდეგ წინადადება იქმნა წარდგენილი, რომ მორიგ საქმეებს შესდგომოდნენ. მელინმა მიიღო ფორმულა, რომლითაც მთავრობის აზრი 334 ხმის უმეტესობით 114 წინააღმდეგ მოწონებულ იქმნა.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

ქართლ-კახეთის საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ არიან: თელავის მესამე საბლაღოჩინო ოლქის მღვდლები კონდოლის თომას ეკკლესიისა—გიორგი ჰელიძე, წინანდალის წმ. გიორგის ეკკლესიისა—ლაზარე აპრამიშვილი—სარევიზიო კომისიის წევრებად თელავის სასანთლო საწყობის გაშვრების შესამოწმებლად, 31 მაისს.

დუშეთის მესამე საბლაღოჩინო ოლქის მღვდლები: ფასანაურისა—ბლაღ. ზაქარია დავითიშვილი, კაიშაურისა—შიო კაიშაური და ჭირიქსისა—დავით კახობერი დუშეთის სასანთლო საწყობის გაშვრობის სარევიზიო კომისიის წევრებად, 24 მაისს.

საეკლესიო მნათეებად დამტკიცებულ არიან: სამსახურიდამ გამოსული პრაპორშჩიკი ივანე გომელაური—მირზაანის მიმინების ეკლესიისა, 20 მაისს.

სოფლ. თანდილაანთკარის გლეხი—ისააკ ინაშვილი—გაისხევის ეკლესიისა, 4 თიბათვეს.

გლეხი ღვთისავარ ბეზანაშვილი—ქვემო-აკუშალის მთავარ ანგელოზის ეკლესიისა 24 მაისს და გლეხი ზაქარია გოდერძიშვილი—დიდ ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიისა, 24 მაისს.

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის სადგურის „მიხაილოვის“ დეპოს მეუფროსე ინჟენერ-მეხანიკე ევგენი ნიკოლოზის ძე ცამუტალი—„მიხაილოვის“ სარკინის-გზო მოძრავის ეკლესიისა, 29 მაისს.

გლეხი ანდრია ასანაშვილი—მუხრანის მიმინების ეკლესიისა, 12 თიბათვეს.

გლეხი მათე გაჯიაშვილი—თიანეთის წმ. გიორგის ეკლესიისა, 5 თიბათვეს.

დამტკიცებულ არს სამზრუნველო: მირზაანის მიმინების ეკლესიისა, ადგილობათის მღვდლის გიორგი მენთეშაშვილის თავმჯდომარეობით, შემდეგის წევრებისაგან შემდგარი: საეკლესიო მნათის გომელაურისა, სოფლის მამასახლისის თარაშვილისა, გლეხების: სალარიძისა, ზურაბიშვილისა, ივანე გრიგორიშვილისა, ივანე ნადირაშვილისა, პირასმანაშვილისა, ლაგიაშვილისა, ალულიშვილისა და აზნაურის სოლომონ გომელაურისაგან, 20 მაისს.

აგნევის ეკლესიის მღვდელი ილარიონ კასრაძე დანიშნულ არს მოძღვართა—მოძღვრად გორის მეხუთე საბლაღოჩინო ოლქისა, 13 თიბათვეს.

ტფილისის მეოთხე საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინის თანაშემწე, ტფილისის დიდუბის ეკლესიის მღვდელი იროდიონ გურგენიძე—იმავე ოლქის ეკლესიების ბლაღოჩინად, 10 თიბათვეს.

დათხოვნილ არიან: ატოცის სამრევლოს მღვდელი სოლომონ დიდებულიძე—გორის მეხუთე საბლაღოჩინო ოლქის მოძღვართა—მოძღვრის თანამდებობიდამ, 13 თიბათვეს.

ტფილისის მეოთხე საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინი, მღვდელი პეტრე ებიტაშვილი, თანახმად თხოვნისა, ავადმყოფობის გამო, 10 თიბათვეს.

ახალი ამბავი

.*. **გურიის სამკითხველოების მმართველთა საყურადღებოდ.** დღეს გურიაში სამკითხველოები არსებობს შემდეგს ადგილებში: აკეთში, ასკანაში, ლანჩხუთში, ნიგოითში, ბახვში, ჩოხატაურში, ნაგომარში, შემოქმედში, ხიდისთავში და ძიმითში (ამ უკანასკნელს ნება-რთვა აქვს მხოლოდ ალებული). როგორც ვიცით, უმეტესობა ამ სამკითხველოებისა ვერ არის სასურველად მოწყობილი. და ხეირიანად შედგენილი წესდება და დამტკიცებული ხომ არც ერთს არა აქვს და არა. რომ უკეთ წავიდეს სამკითხველოების საქმე, ამიტომ, ჩემის აზრით, ყველა სამკითხველოს წევრებმა უნდა აირჩიონ თავიანთ შორის თითო წარმომადგენელი შეგნებული პირი, დავასახელოთ ერთი ადგილი და ყველა იქ მოგროვდეს; ამათ შეუძლიანთ კიდევ სხვაც მოიწონონ და ყველამ ერთად საზოგადო მსჯელობით შევიმუშავოთ წესდება საზოგადო და სავალდებულოდ მისაღებად.

მადლობა ღმერთს, გურიაში სხვა-და-სხვა სოფელში მაგ მხრივ სხვა-და-სხვა პირობები არ არის, რომ სხვა-და სხვა ნაირი წესდება დაგვჭირდეს.

ამ კრებაზედვე მივცეთ ერთმანეთს ანგარიში, ვის როგორ მიჰყავს საქმე და რა გვარ ნაყოფს ჰხედავს. იქვე ვიქონიოთ მსჯელობა იმაზედ, რომ შეიძლება თუ არა ორი სამკითხველო ერთად შეერთდეს და ერთს უფრო მტკიცე ნიადაგზე დარჩეს. შეიძლება თუ არა, რომ ორმა-სამმა სამკითხველომ რუსეთის რომელიმე ხეირიანი მოზრდილი ჟურნალი საზიაროდ გამოიწეროთ, ამ რიგად, რომ ორი ან სამი სამკითხველო თითო სხვა და-სხვას გამოიწერს და ერთმანეთს გამოუცვლიან.

ერთის სიტყვით, საკითხი და გადასაწყვეტი საგნები ბევრი გვექნება და უმჯობესიც არის შეერთებულის ძალ-ღონით გავუმკლავდეთ საზოგადო მტერს—გონებრივ სიბნელეს. ამ კრებაზე გავიგებთ, თუ ვისი წყალობით არის, რომ ისეთს პატარა საზოგადოებას, როგორიც ასკანაა, მშვენივრად მოწყობილი სამკითხველო აქვს, სავსე როგორც წიგნებით, ისე რუსულ-ქართულ დრო-გამოშვებითი გამოცემებით და ოზურგეთს-კი, გურიის სატახტო ქალაქს, მარტო წარწერა (ვივესკა) აქვს თუნუქაზე მხვილი ასოებით „ოზურგეთის სამკითხველო“, გაზეთებიც მოსდის იანვრიდან, მაგრამ სად არის და სად წავიკითხოთ, არ ვიცით.

იმედი მაქვს, ეს ჩემი წინადადება მიღებულ იქმნება და ამ ენკენისთვემდე გადავსწყვეტთ რასმეს საერთო სასარგებლოდ.

აპ. წულაძე.

.*. **ქართველ ხელოსანთა საამხანაგო დუქანი.** დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამხანაგობით შეერთებულის ძალით მუშაობა და ჩარჩ-ვაჭრებთან ბრძოლა თანდა თან ფეხს იკიდებს ჩვენს ხალხში. კვირას, 6 ივლისს, ჩვენს რედაქციაში მოიყარეს თავი რამდენმამე ხელოსანმა და სჯა ბაასი ჰქონდათ იმაზედ, თუ როგორ და რა წეს-რიგით დაარსდეს ხელოსნების საამხანაგო საზოგადო დუქანი, სადაც მუშტარს შეეძლოს პირ და პირ ხელოსნისაგან იყიდოს საქონელი, შუაში ჩარჩი აღარ ურიოს და, მაშასადამე, თითონაც მეტი მოგება მისცეს; აიცდინონ თავიდამ ის ბეგარა, რომელიც ეხლა ჩარჩის შესანახ-გასამდიდრებლად აწევს მყიდველსაც და ხელოსანსაც.

ამ პატარა კრებულმა თავისი სჯა ბაასი დაასრულა იმითი, რომ შეატყობინოს ეს სურვილი და გადაწყვეტილება ყველა ქართველ დურგლებს, სხვა ხელოსნებსაც, ერთის სიტყვით, ყველას, ვინც-კი ამ განზრახვას თანაუგრძნობს და მეორე კვირას, 13 ივლისს, მოახდინონ მეორე კრება სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში, რომელზედაც დაბოლოებით გადასწყდება ეს საქმე. მაშინვე აირჩევენ ხაზინადარს, რომელიც მიიღებს საწევრო ფულებს და კომისიას, რომელიც აღნიშნულ ვადაზედ შეამუშავებს საჭირო წესდებას.

საწევრო ფული განზრახულია 10 მანათი, რომელიც შემოტანილ იქმნება 10 თვის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად.

იმედია, ყველა თანაგრძნობას გაუწევს ამ ახალს სიმპატიურს საქმეს.

.*. **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის გამო.** ამ ოთხი კვირის წინად გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილი იყო ჩვენის პატივცემულის ნ. ი. ნიკოლაძის ფრიად საყურადღებო წერილი იმ ურიგობაზედ, რომელი მოჰყვა ამიერ-კავკასიის რკინის გზ მმართველობის განკარგულებას, შ სახებ ახალის მიმოსვლის დრო ჟამისა. ამ გარემოებამ თავისს დრო ზე საკმაოდ აალაპარაკა საზოგადო ბა და მწერლობაც. რკინის გზ მმართველმა ბ-ნმა ვედენეევმა პასუ გასცა ბ-ნ ნიკოლაძეს, მაგრამ ამ პ სუხიდან უფრო დამტკიცდა ნ. ნიკო ლაძისაგან აღნუსხული უთავ-ბოლო ბა მიმოსვლის დრო და ჟამისა.

ეხლა პეტერბურგის გაზეთ „ნოვოსტ“-ში (№ 178) ამ საგანზე ვრცე ლი წერილია დასტამბული სათაუ რით „გაუგებარი წეს-რიგი“, რომ ლშიაც ავტორი სრულიად ეთანხმე ნ. ნიკოლაძის აზრს და ურჩევს ჩვ ულებრივს კრებას რკინის გზის წარ მომადგენელთა, რომელიც პეტერ ბურგში უნდა მომხდარიყო წარსულ თვის 30-სა, რომ ყურადღება მია ციოს კრებამ ასეთს უცნაურს წეს წყობილებას ამიერ-კავკასიის რკინი გზისას, რათა სამართლიანს ჩივილ ნ. ნიკოლაძისას და საზოგადოებისა მიექცეს ჯეროვანი ყურადღებო. ეჭვი არ არის, ზემოხსენებული კრე ბა არ დასტოვებს უყურადღებო სამართლიანს ჩივილს მთელის მხა სას და ჯეროვანად შეასწორებს დღ ვანდელს ნაკლს მიმოსვლისას...

.*. **ამიერ-კავკასიის მადნეულობ საწარმოებელი ამხანაგობა.** როსტ ვის ტეხნოლოგს გარკოვიცკის რო ტოვში შეუდგენია ამხანაგობა, რო მლის თანხა შეადგენს 250.000 ჩვენებური სხვა-და-სხვა მადნეულო ბის და განსაკუთრებით ცემენტ საწარმოებლად. ამხანაგობის წესდე უკვე წარდგენილია უმაღლესს მთა რობასთან დასამტკიცებლად და ნე დასართველად. ცემენტის მადნეუ

ვაჭრების საყურადღებოდ.

ცხოვრება & ვაჭრობა იტალიაში.

რათ იზიდავს იტალია ყველას?—იტალიის არისტოკრატია.—მათი ზნე, ხასიათი, ჩვეულებანი, ცხოვრება და მდგომარეობა.—საშინელი ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯაობა.—კამორა და მაფია.—ბავშვებით ვაჭრობა.

იტალია—გასაოცარის სიმდიდრისა და ბუნების სიმშვენიერე-სიტურფის ქვეყანაა. ჰავა აქ იმდენად თბილი და ხელ-შემწყობია, რომ თავისუფლად ჰხარობს ლიმონი, ფორთოხალი, სხვა-და-სხვა გვარი ყურძენი და შაქარივით პირში ჩამდნობი საზამთრო. წაბლისა, ნუშისა და ინდი-ხურმის ჭალებით ხომ სულ სავსეა იტალია, თითქოს უფალს მარტო იქ დაებერტყოს თვისი უხვი კალთა. დაფნის ხეები, კვიპაროსი და სხვა მათგვარი ხეები ერთი ორად უფრო აცხოველებენ და აორკეცებენ სურათების სიდიადეს. მშვენიერი, თვალ-წარმტაცი კაკტუსები, რომელთაც ფოთლების მაგიერ რბილი, მწვანე ყლორტები აქვსთ, ფერსა და იერსა სდებენ უიმისოდაც მომხიბლველს ბუნებას. ფორთოხლისა, ლიმონისა და ოლეანდრი ხეებს მთელს ზამთარ-ზაფხულს მწვანედ გაუდით ღალანი.

რა საყვარლად მოირთვის და მოკოპწიავდება ხოლმე კოხტა პატარძალსავით აქაურობა ზაფხულობით! გეგონებათ, სწორედ ედემია, სწორედ ქვეყნიური სამოთხეაო! ყვავილების ათასნაირი სურნელოვანება აუ[illegible] და ხალხსაც უხარის, კისკასებს მთელი დღე და აცისკროვნებს თავისს გრძნობა-გონებას.

იტალიის ყოველს კუთხეში გიზიდავსთ რამე განსაკუთრებული, შესანიშნავი მოვლენა, რასაც სხვაგან ვერა ჰხედავთ და ვერა ჰპოვებთ. ჯერ მარტო ვეზუვის ნახვა რამდენს იზიდავს აქეთკენ! ვეზუვი—შესანიშნავი ვოლკანია, რომლიდანაც მუდამ ამოდის ჯანყ-ბურუსი და არა ერთხელ და ორჯერ დაუზარალებია ხოლმე მცხოვრებნი.

სხვებს კუნძული კაპრისი მოსწონთ, რომელიც მთლად მოჭედილია ზვარ-ვენახებით და ზევიდამ სალი კლდე ამაყად გადმოსცქერის, თითქოს საგანგებოდ დარაჯად დაუყენებინოს ვისმეს. ამ კუნძულზედვეა მრავალი გამოქვაბული აკლდამები.

არა ნაკლებს სილამაზეს აძლევს იტალიას ის გარემოება, რომ სამთავე მხრივ ზღვა უვლის და ყურე-სრუტეებით ულარავს ნაპირებს. ნავთსადგურებში ჰხედავთ მშვენივრად მორთულს ხომალდებს, რომლებზედ წმინდანი, ან კიდევ იტალიელების საყვარელ-სავედრებელი ღვთის-მშობელია გამოსახული.

დასავლეთით ზღვის ნაპირს მისდევენ ერთი-ერთმანეთზედ გადაბმული ქალაქები. რომი, ეს შესანიშნავი ქალაქი უძველეს დროიდამ უდიდეს ქალაქად ითვლებოდა; სხვა ქალაქები კიდევ: გენუა, ვენეცია, ფლორენცია შუა საუკუნოებში განთქმულნი იყვნენ სწავლა-განათლებით, მეცნიერებით, ხელოვნებით და ვაჭრობით. მაგრამ ჯერ ისევ ქრისტეს დაბადებამდის იტალია მრავალ ხალხს იზიდავდა. ზოგნი მოისწრაფვიდნენ აქ, როგორც ქვეყნიურს სამოთხეში, ზოგს კიდევ სწავლა-განათლების სურვილი იზიდავდა. ზოგი ამ ხალხთაგანი მთელის საუკუნოებით სახლდებოდნენ აქ და აღარსად მიდიოდნენ. უმრავლესნი მათგანი სტოვებდნენ რამე ნაშთებს სახსოვარს, ეკკლესიებს, შენობებს და სხვ. აი რად არის იტალია სავსე მრავალ სხვა და-სხვა ხალხისა და დროის ნაშთებით. მართლაც, არც-ერთს ქვეყანაში ვერ ჰნახავთ ამდენს ქალაქებს შესანიშნავის სასახლეებით, ორიგინალურის ნაშთებით და ჩუქურთმით, მრავალის მუზეუმებითა და მხატვრობებით სავსეს. ასე გასინჯეთ, რაც გინდა უბრალო ქალაქი იყვეს, ცოტაოდენი ნაშთი ძველებურის ძლევა მოსილებისა და დიდებულებისა მაინც ექნება დარჩენილი. იტალიელები თავისს საყვარელის მადონნას (ღვთის მშობელია) მშვენიერს ალამებსა და ქანდაკებს უკეთებენ. ყველა ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ ექონია იტალიელთა ხასიათსა და გრძნობა-გონებაზედ. იტალიელები დასაჩუქრებულნი არიან პოეტურის გრძნობით და აღმაფრთოვანე-მაცოცხლებელის ხმით. ამ ქვეყანაში უბრალო, უსწავლელებიც კი გაეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს შაირებში, აბა ვინ უფრო უკეთესს ლექსებს იტყვისო. ლექსებს, რასაკვირველია, ხელდახელ ადგენენ, მოუმზადებლივ მოედნებზედ, მინდორში ან სხვაგან. ამგვარ მოშაირეებს ხალხი ირგვლივ ეხვევა, აქეზებს კარგს მოშაირეს, ცუდს-კი სიცილსა და კიჟინას აყრის. მხიარული დროს გატარება დღეობებში, სიყვარული თეატრებისადმი იტალიელებს პირველ მოთხოვნილებად გადაჰქცევიათ. სიმღერები! მერე რა მომხიბლველი გრძნობათა აღმშლელი! ღამით, როცა ცა მრავალის ვარსკვლავებით მოჭედილია და დიდებული მთვარე ჭახჭახით დაჰყურებს დედამიწის გულმკერდს, იტალიელებს არ სძინავთ: ისინი დიად ბუნებას მთლად ჩაუნთქავთ, მისი ცქერით ვერ გამაძღარან, ყველგან საამური, რაკრაკა, იტალიური გალობა ისმის.

მაგრამ იტალიაში უფრო იმიტომ მიდის ხალხი, რომ ძველი დიდებული ნაშთები დაათვალიეროს. იმ ადგილზედ, სადაც ეხლა ახალი რომელიმე ქალაქია გაშენებული, ძველად ბერძნების ან გოტების ქალაქი იყო. ერთის სიტყვით, აქ ახალი სახლის ან ეკკლესიის გვერდით ძველი რამ შენობა სდგას დაძველებულ-დახავსებული ან და დანგრეული.

მაგრამ ამ მომხიბლველს ქვეყანაში ბევრს სიკეთესთან ბევრს ცუდსაც შეჰხვდებით; დიად ბუნების სიტურფესთან მრავალ აყროლებულ ჭაობებს და ნოტიო ადგილებს. ეს კიდევ არაფერი. ეს ბუნებით უხვი ქვეყანა ძველადგანვე ლატაკებითა და დამშეულებით იყო სავსე. ამას გარდა, არც ერთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში არ არის ამდენი ყაჩაღები და ბრბო-მეკობრენი, როგორც აქ.

იტალიაში საშინლად ბევრი ქალე ბია, მეტადრე სამხრეთ იტალიაშ მაინც, სადაც ერთი სოფელიც კ არ მოიძებნება. საზოგადოდ, ძალი ან ცოტაა სოფლები, რადგან მეურ ნე გლეხკაცებიც კი ქალაქში ცხოვრებას არჩევენ და სოფელს გაურბიან.

იტალიის არისტოკრატია განკერძოვებულს ცალკე წოდებას კი არ წარმოადგენს, როგორც სხვაგან. ის არ განირჩევა სხვათაგან არც სწავლით, არც შეძლებით, არც თუ გავლენით. ერთის სიტყვით, ის არაფრით არ წააგავს იმ არისტოკრატიას რომელიც თავში უდგა ხალხის განათლებას, ქონებრივ კეთილ-დღეობას, და მთელის ქვეყნის ბედ-იღბალ და ჩარხს განაგებს. მართალია, შუ საუკუნოებში ბევრი მართლა რო ძლიერი და შეძლებული იყო დ ხელში ეპყრათ ხალხის განათლებ და კეთილდღეობა, მაგრამ ყველა ე გაჰქრა, ვით შარშანდელი თოვლი ეხლა იტალიის არისტოკრატიას აღ არაფერი გავლენა და მნიშვნელობ აღარა აქვს. მრავალი მათგანი ამოღ ლებულა ნათესავ მძლავრ პაპის შე მწეობით, ზოგს კიდევ სულ მოკლე ხანში (1870—80) შეუძენია თავადიშვილობა გაიძვერაობით და არა კეთილის გზით. ასე, რომ იტალიის თავადიშვილთა უმრავლესობას არც კი შეუძლიან თავი მოიტანოს თავისი გვარეულობის სიძველით.

მთავრობამ, რა შეატყო ხალხს, რომ მათში გათავადიშვილების სურვილი დიდათ არის აღგზნებული,

ლობა, თურმე, ეგულისხმებათ შავი ზღვის ნაპირებზე და, იმავე გარკოვიცკის გამოანგარიშებით, ხსენებულ ადგილებში ადვილად შეიძლება ამოვიდეს 50 მილიონი ფუთი ცემენტიო.

⁂ **მიწები გადმოსახლებულ რუსებისათვის კავკასიაში.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოუთხოვნია თავის რწმუნებულისათვის ბ-ნი მედვედიევისაგან, დაუყონებლივ გამოარკვიეთ თუ რაოდენი თავისუფალი მიწა არის ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულთა დასასახლებლადო.

⁂ **უცხოთა პოეტნი ქართულად.** ბ-ნს ვას. აბაშიძეს საუცხოვო აზრი მოსვლია. შეუკრებია ერთად ყველა ნაწარმოები უცხოთა პოეტთა, რაც ქართულად იყო დღემდე თარგმნილი, და ცალკე წიგნად განუზრახავს მათი დაბეჭდვა. წიგნში მოთავსებული იქმნება ლექსები: ბაირონისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ბერანჟესი, ჰეინესი, შილლერისა და სხვათა.

⁂ **პოლიციის დირექტორის ჩამოსვლა კავკასიაში.** პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ტ. სოვ. დობრიჟინსკი 1 ივლისს პეტერბურგიდგან გამომგზავრებულა კავკასიაში.

⁂ **ახალი ათ-თუმნიანები.** სახელმწიფო ქაღალდების მოსამზადებელ ექსპედიციაში უკვე დაბეჭდილია ასმანათიანი საკრედიტო ბილეთები ახალი ფორმისა. ახალი ბილეთი ძველისაგან გაირჩევა იმით, რომ პირველზედ დახატულია ორი სურათი იმპერატრიცა ეკატერინე II-სა ერთი თეთრად, მეორე ქვეით, ბილეთის ტექსტში.

⁂ **მილიონერთა მილიონერი განდერბილდი და მისი განზრახვა.** ამ დღეში პეტერბურგში ჩამოვიდა ამერიკელი მილიონერი ბ. ვანდერბილდი, რომელსაც განზრახვა აქვს, თურმე, შეუმხანაგდეს ახალს სავაჭრო ამხანაგობას, დაარსებულს უცხოელებისაგან რუსეთში, იმ მიზნით, რომ შეიმუშაოს ნავთის ახალი წყაროები რუსეთში და კავკასიაში.

⁂ **ქალაქის გამგეობის განკარგულება წვიმის ღარების შესახებ.** ქალაქის გამგეობამ გამოუცხადა სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის აგენტებს—დააჩქარონ წარმოდგენა ცნობებისა იმ სახლების შესახებ, რომელთა მეპატრონეებმა აქნობამდე არ გაუკეთეს სახლებს წვიმის ღარები (ჯილაბები) ტროტუარის დასწვრივ. ამ გვარი სახლების მეპატრონეები, თურმე, პასუხის გებაში მიეცემიან, რადგან არ ასრულებენ დადგენილობას ტეხნიკური კომისიისას, ღარები-კი დაგრძელებულ ტროტუარების დასწვრივ იქნებიან გაკეთებული ქალაქის გამგეობის განკარგულებით სახლის მეპატრონეთა ხარჯით.

⁂ **საკლასიკო პროგიმნაზიის დაარსება სოხუმში.** „ნოვ. ობოზრ“ ატყობინებენ სოხუმიდგან, რომ სოხუმის ოლქის თავად-აზნაურობას აღუძრავს შუამდგომლობა, ვისთანაც ჯერ-არს, ქ. სოხუმში სავაჟო კლასიკურ პრ.-გიმნაზიის დაარსებაზედ.

⁂ **კორრესპონდენციების გზავნის გაადვილება რკინის გზებზედ.** კორრესპონდენციების გზავნა რომ დაჩქარდეს რკინის გზით, გამოცხადებულია მთავრობის განკარგულება: საგანგებო და უბრალო კორრესპონდენციები (წერილები) გაიგზავნებიან რკინის გზის საფოსტო მატარებლების გარდა, ხალხის მატარებლებითაც ყოველ დღე.

⁂ **საქართველოს ეპარქიის სამასწავლებლო კურსების გახსნა.** 6 ივლისს ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში საქართველოს ეპარქიის სამასწავლებლო კურსების გახსნის გამო გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. მწირველი ბრძანდებოდა თავსმჯდომარე ეპარქიის სამოსწავლო საბჭოსი არქიმანდრიტი სერაფიმი, რომელმაც პარაკლისის წინ წარმოსთქვა გრძნობით სავსე და მეტად საყურადღებო სიტყვა. სიტყვა იყო მიმართული აქვე შეკრებილს მასწავლებელ ქალებსა და ვაჟებისადმი მამა სერაფიმმა მშვენივრად განუმარტა მსმენელებს კურსების მნიშვნელობა. ურჩევდა, რაც შეიძლება, გულით და მეცადინეობით მოჰკიდებოდნენ საქმეს. აქვე აუხსნა, რომ მასწავლებელი, უბრალო, გაუნათლებელ და აუტანელი შრომისაგან გადუხჭირებული ხალხის შვილებისა, არ უნდა ივიწყებდეს არც ერთს წუთს განუსაზღვრელ სიყვარულს მათდამი. ეს მან მშვენივრად დაასურათა იმ რუსთა პირების მოღვაწეობით, რომლებმაც დაუტოვეს ყოველი თავისი პიროვნული ინტერესები და მთელი თავიანთი არსებობა შესწირეს სახალხო სკოლას. მქადაგებლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ. კურსები დაიწყო 7 ივლის სასოფლო სამეურნეო ლექციების კითხვით კავკასიის საბრეშუმო სადგურის შენობაში.

⁂ **ბათომის გიმნაზიის შენობის კურთხევა.** 5 ივლისს, დღის პირველ საათზედ აკურთხეს საძირკველი ბათომის სავაჟო გიმნაზიის დროებით შენობისა. აშენებული კედლები მორთული იყო ყვავილებით და ბაირაღებით. კურთხევას დაესწრენ ქალაქის თავი ლ. ნ. ასათიანი, გამგეობის წევრნი ი. ა. ივანოვი და გ. ი. ვოლსკი. ინჟინერი (რომელიც ყურს უგდებს ამ შენობას) დ. მ. სედელნიკოვი, ქალაქის არხიტექტორი რ. ტარასევიჩი, ქალაქის ხმოსნები და სხვა საპატიო პირები.

⁂ **დანიშვნა ორთქლით მატარებლების მაშინისტებისა.** „ს. ოტეჩ.“-ს გაუგონია, რომ გზათა მინისტრმა თავ. მ. ი. ხილკოვმა უბრძანა გასინჯონ რკინის გზების ინჟენრების სხდომაზედ, რომელიც შეიკრიბება ქ. რიგაში 22 ივლისს, გამოირკვეს და შესდგეს უფრო შესაფერი და რიგიანი წესი ორთქლით მატარებლებზედ მაშინისტების დასანიშნად და მათის სამსახურის რიგიანად წარმოების წეს-რიგი, რათა შემდეგში ისეთი ხშირი აღარ იყოს უბედური შემთხვევები რკინის გზებზედ მაშინისტებისაგან, როგორც აქამდინ იყო ხოლმე.

⁂ **დ. ლანჩხუთი** (გურია). **უეცარი სიკვდილი.** მკათათვის 4 ს, საათის თერთმეტზედ, ფოსტაში ი—ებ ბ—ძეს უეცრად გული შეუწუხდა, ერთი კრინტის დაძვრაც კი ვერ მოასწრო და უზიარებლად დალია სული. მიზეზი ცხონებულის გარდაცვალებისა ჯერ არავინ იცის.

⁂ **სოხუმი. ჭირნახული.** მთელს აფხაზეთში წლეულ მშვენიერი პირი უჩანს ჭირნახულს. აქეთკენ მარტო სიმინდსა სთესენ. სხვა ადგილებსავით გვალვა აქეთკენ არა ყოფილა. სიმინდი უკვე ტაროს იკეთებს. წლევანდელის მსგავსი სიმინდი, კარგა ხანია, აქაურებს არ უნახავთ. განსაკუთრებით მშვენიერი სიმინდია სოფ. მაჭარაში, ზაბუშარაში, ბალმარანში, მერხეულში და ბეაყვაში. ადესასაც კარგად ასხია.

⁂ **ს. გოგორეთი** (გურია). კვირას, 30 ივნისს, შემთხვევით დავესწარი ხვარბეთის ორ-კლასიანი სკოლის „აქტს“. კურს დასრულებულ ყმაწვილებს სკოლის მასწავლებელმა ბ. მიხ. თუმანიშვილმა დაურიგა საჩუქრათ წიგნები. ბ-ნ თუმანიშვილს გოგორეთში სასოფლო აფთიაქი აქვს და, როგორც გადმომცეს სარწმუნო პირებმა, დიდ-სამსახურს უწევს სოფლის მკვიდრთ; ზოგს ავადმყოფს სულ-უფასოდ აძლევს, თურმე, წამალს და ზოგსაც დაკლებულ ფასად. სკოლის წარსამატებლათ ხომ არავითარს ძალ-ღონეს არ ზოგავს. სწორედ რომ გულზე სიმოვნება მომეფინა, როცა ვუყურე, რომ გაალო წიგნებით სავსე განჯინა და სოფლელებს წასაკითხად დაურიგო წიგნები. 30—მდე ქართული წიგნები გაუგზავნა თავის ძმებს, სტუდენტებს, საზაფხულოთ გომის მთაზედ მყოფთ, აჭარლებში გასავრცელებლათ. ამგვარი მოღვაწეობისთვის ბ ნი თუმანიშვილი, რასაკვირველია, დიდის მადლობის ღირსია.

იმედია, მას სხვა ახალგაზდებიც მიბაძავენ და გაიხსენებენ სტუდენტობის დროინდელ გატაცებულ მსჯელობას: მე სოფელს უნდა ვენაცვალო, იქ უნდა გავწირო სულიო.

ბზეკალ-კოდალი.

⁂ **დ. აბაშა** (სამეგრელო). **მეზურნეების თავ-გასულობა.** ჩვენს დაბაში, ცოტა არ იყოს, არეულ-დარეული ვაჭრობა სუფევს—განსაკუთრებით ვემდურით და გულ-ნატკენიცა

მოისურვა ამით უნდა ვისარგებლოვო. იტალიაში მატერიალური მდგომარეობა სამეფოსი განსაცდელშია, ამიტომ სამინისტრომ დიდი გადასახადი დააწერა მათ, ვისაც მეფე თავადობას უბოძებდა. რამდენადაც დიდ ხარისხსა იღებს ვინმე, იმდენად უფრო დიდი გარდასახადი გაეწერებოდათ, ასე, რომ თითოს რამდენიმე ასობით და ათასობით აწევსთ გადასახადი. რასაკვირველია, ფულებით შოვნამ დიდის ხარისხებისა სრულიად დაამცირა ეს წოდება ხალხის თვალში. მაგრამ ამ ბოლო ხანში დიდ-დიდმა გადასახადებმა და ხალხის მძულვარებამ ფულით გათავადიშვილებულებისადმი ძალზე შეამცირა გათავადიშვილების მსურველთა რიცხვი.

არისტოკრატები თვალსაჩინოდ ბევრია იტალიაში, მეტადრე დასავლეთ მხარეში ყველგან ჰერცოგებს, მარკიზებსა და გრაფებს ჰხედავთ, თუმცა მრავალი მათგანი-კი ტყუილ უბრალოდ ატარებენ ამ სახელწოდებას. აქ ყოველ თავმომწონე კაცს თავი მოაქვს თავადიშვილობით და მარკიზობით. თუ ამგვარს ძალად-მაცხონე მარკიზს როგორმე ბედმა გაუღიმა და გამდიდრდა, მაშინვე უკუაგდებს თავის ძველ სახელ-წოდებას, ირქმევს: გრაფს, ჰერცოგს, შესაფერს გერბებს აჰრევინებს და აკვრევინებს ახლად შეკვეთილს ეტლებზედ. პირველად, რასაკვირველია, ყველა დაცინვას დაუწყებს, მაგრამ თავადიშვილობის მაძიებელი არა ძრწუნდება და იმედს არ ჰკარგავს, ხალხიც დრო-ჟამის განმავლობაში შეუმჩნევლად ეჩვევა ამ მყვირალა სახელ-წოდებას და მარკიზად სთვლის მას.

მრავალი არისტოკრატთაგანი ძალიან მდიდარნი არიან, მაგალითად: ვისკონტები, ოდესკალკები, რუდინები და სხ. თუმცა მათი სიმდიდრე ინგლისის კაპიტალისტებთან მოსატანიც არ არის, მაგრამ ასეთ ღატაკს ქვეყანაში, როგორიც იტალიაა, ესეც ბევრად გეჩვენებათ.

იტალიაში ორ გვარი არისტოკრატიაა: მდიდარნი და ღარიბნი—გაკოტრებულნი. ორნივენი ძალიან დიდგულები არიან, ერთმანეთთან მეგობრობას თავის დამცირებადა სთვლიან და ცალკ-ცალკე გარბიან. ამ სიდიდგულესთან იგინი მეტად გაუნათლებელნი, ზნეობა განუვითარებელნი, ძალზედ ზარმაცები და უშნოამაყები არიან, ძალზედ ღარიბებსაც-კი სათაკილოდ მიაჩნიათ მუშაობა. ოღონდ-კი კარგი ეტლი და ცხენი ჰყავდეთ, თორემ გინდა სახლში ლუკმა-პურიც არა ჰქონდეთ საჭმელი, არ დაგიდევენ. იტალიელი იმას ცდილობს, ხალხს მდიდარი და კოხტად ჩაცმული ეჩვენოს, თორემ სხვას არ დაგიდევს. აქ არა იშვიათად შეხვდებით ისეთს არისტოკრატებს, რომელთაც ძვირფასი ეტლები ღერბებითა და მთელი ხროვა მსახურთა ჰყავთ, მაგრამ სახლისთვის კი იმდენი ვეღარ გადაურჩენიათ, რომ სუფრა იყიდონ და ისე ისადილონ. ცარიელს გრძელს მაგიდაზედ არა იშვიათად ცარიელა პურსა და წყალს შეჰხვდებით.

მსახურებს სასტიკად და უდიერად ექცევიან. მსახურებმა უნდა აკოცონ ხელზედ და მოწიწებით მუხლი მოუყარონ ხოლმე მუდამ.

საზოგადოდ, იტალიის არისტოკრატია ისე უსუფთაოდ სცხოვრობს, რომ კაცს გულს შეჰზარავს. გარეთ-კი, მოგეცათ წყალობა, იტალიელმა იცის გამოწყობა და მორთვა! სამშობლოს სიყვარული, მის ინტერესების დაცვა და მეცნიერებისადმი მისწრაფება, უზრუნველ იტალიელს აზრადაც არ მოუვა ხოლმე. ამასთანავე იტალიელი არისტოკრატები სამშობლო ენაზედ-კი არა ლაპარაკობენ, არამედ ფრანგულზედ.

საუკეთესო ადგილები სახელმწიფოში არისტოკრატებს უჭირავსთ. იტალიის მმართველობა განთქმულია ანგარების მოყვარებით, ცარცვა-გლეჯვით და შემაძრწუნებელის საქციელით. ყაჩაღობა და ქურდობა უზომოდ არის ხალხში გავრცელებული. ასე გასინჯეთ, ბანკებშიაც, რომლებსაც პატივსადებნი პირნი განაგებენ, ბოლო ხანებში საშინელი ქურდობა აღმოაჩნდათ. იტალიის ექვს დიდს ბანკებში იმოდენა ქურდობა და ჩუმად ფულის გატანა აღმოაჩინეს თვით გამგეობისაგან, რომ სათქმელადაც-კი ძნელია.

ისინი-კი, ვინც სამსახურში არ არის, სრულ სიზარმაცესა და უზრუნველობას არიან მიცემულნი. მამული გაცემული აქვთ იჯარით და თვითონ ნებივრად თავს შეიქცევენ პარიზში ან სხვა რომელსამე ევროპის საუკეთესო ქალაქში.

თუმცა ბუნება ასე მდიდარია, ასე ხელს უწყობს ხალხის კეთილ-დღეობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იტალიელი ხალხი მეტად ღარიბ-ღატაკია. ამ უკანასკნელ ოცდახუთის წლის განმავლობაში მაინც მთლად წელში გატყდა იტალიის ხალხი უზომო გადასახადებისა და ფოსტის ფულის მომატებისაგან. უზომო გადასახადმა იძულებულ ჰყო ხალხი, მყუდრო ოჯახობრივი ცხოვრება მიეტოვებინა და ყაჩაღობა-ტაცვა გლეჯაობას შესდგომოდა. ამიტომაა იტალიაში მთელი ბრბონი ყაჩაღებისა, რომელნიც დიდ გზებზედ ეცემიან ხალხს და მუსრს ავლებენ გამვლელ-გამომვლელთ. არა იშვიათად შეჰხვდებით იტალიურს გაზეთებში შემდეგს ამბებს: „პალერმოდგან ომნიბუსი მოდიოდა ვაჭარ ხალხით სავსე, რომელსაც დღის 3 საათზედ, ნიღაბ ჩამოფარებული ყაჩაღები დაეცნენ და ფულის თხოვნა დაუწყეს. ვაჭრებსაც რა ღონე ჰქონდათ, ამოიღეს და მისცეს, რაც-კი ებადათ. შემდეგ ყაჩაღებმა თვით კონდუქტორს ფულით სავსე ჩანთა წაართვეს და შეუმჩნევლად გაჰქრნენ“. ასეთი მაგალითები შუადღისას თავდასხმისა ძალიან ხშირია იტალიაში. ზოგჯერ ისე ხშირად და ისე უწყალოდ ძარცვავენ ხალხს, რომ მთავრობას ვერ ძალუძს ამ ალვირ-წახსნილის ყაჩაღობის ალაგმვა და ან როგორ ალაგმოს იგი, როდესაც სიღატაკე და სიმშილი იძულებულ ჰყოფს ხალხს, ცარცვა-გლეჯით იცხოვროს! უმთავრესად ძნელი ასალაგმავია ბრბოთა საიდუმლო ამხანაგობა—კამორა. ამ ამხანაგობის ყაჩაღები წერილებს უგზავნიან შეძლებულებს, რომელშიაც სწერენ, ამა და ამ ადგილას ამდენი და ამდენი ფული ან ხორაგი მიიტანეთ, თორემ ვაი თქვენს დღესაო! შეძლებული მემამულეც რას იზამს, რომ არ შეუსრულებს თხოვნას; დანამდვილებით იცის, რომ აკლება აოხრებას ვერ გადურჩება და ამიტომ ფიცხლავ უსრულებს თხოვნას.

ასეთი საიდუმლო ბრბოები ძველიდგანვე არსებობენ იტალიაში. წინად ბევრი მაღალ საზოგადოებიდგანაც იღებდნენ მონაწილეობას ამ სამარცხვინო საქციელში. ვისაც-კი საკუთარის შრომით არ შეეძლოთ მუშაობა, ასეთს ცხოვრებას ამჯობინებდნენ. მეორეს მხრით, გაკოტრებულ თავადიშვილებისა, მარკიზებისა, ადვოკატებისა და, ასე გასინჯეთ, სასულიერო პირების მონაწილეობამ გააფართოვა საიდუმლო ბრბოს მოქმედების მოედანი. როცა მმართველობამ სასტიკი დევნა დაუწყო ამ ბრბოთა ამხანაგობას, აღმოჩნდა, რომ მის წევრებში ერივნენ პოლიციელნი, მმართველობა და მოსამართლენი. თუმცა ამ სასტიკმა გამოძიებამ და აღმოჩენამ შესამჩნევად შეასუსტა კამორა, მაგრამ მისი ძირიანად აღმოფხვრა ჯერ-ჯერობით სრულიად შეუძლებელია, რადგან თვით შევიწროვებულნი ვერ ჰბედავენ ჩივილს შიშისა გამო. აი კამორას საქმე როგორა სწარმოებს, ვსთქვათ, მივიდა ვინმე საქმისთვის რომელსამე ადვო-

ივერიელი

ვართ მეპურეების თავ-გასულობით. ბაზაში თუთხმეტიოდე პურის დუქანი მუშაობს—რა გამოვიდა? არც ერთში არ მოიძებნება პური, რომ კაცს ეჭმეოდეს; მიზეზი ამ გვარის დაქვეითებისა ის გახლავსთ, რომ საზოგადოთ აქ მეპურეებს სიხარბე სენად გარდაქცევიათ,—ოღონდ ფული მოიგონ და სხვა-კი არაფერი აქვთ სადარდელი. პური საზოგადოდ ცომი გამოჰყავთ, რადგანაც ცომი პური წონაში მეტს იჭერს და არც არავინა ყავთ დამძრახველი. ამას ხომ ასე შვრებიან და ხშირად ნახევარ კაპეიკს მეტს ახდევინებენ ზოგიერთ ხამ მყიდველებს—ნიხრი ასეთი გახლავსო, ეუბნებიან მყიდველს და მყიდველსაც სჯერა. არ შემიძლია აგრეთვე არ ვუსაყვედურო აქაურ მიკიტნებსაც: ძრიელ უსუფთაოდ ინახავენ დუქნებს და მასთან საჭმელები ისე უყრიათ დასგაზე, რომ ბუზების წყალობით კაცს არ შეუძლიან ახლო მისვლა. რა თქმა უნდა, ასეთი უსუფთაობა, და ისიც ასეთ სიცხე-პაპანაქებაში, ხეირს ვერ დააყრის აქაურებს. არც შიგნით და გარეთ ეტყობათ სისუფთავე. მიზეზი ის არის, რომ ხსენებულ დუქნებს სანიტარების წევრები თვალ-ყურს არ ადევნებენ. სხვა სავაჭრო დუქნებში სისუფთავე არის და ესეც იმისი წყალობით, რომ ამ ნაწილს განაგებს პ. მასწავლებელი გიორგი ავთანდილოვი. საზოგადოდ საჭიროა, რომ დაბის სისუფთავეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მისათვის ამორჩეულ პირებისაგან.

მოვაჭრე.

თეატრის მატიანე.

ელეონორა დუზე.

ერთს ფრანგულ გაზეთში მოყვანილია საინტერესო ცნობები ელეონორა დუზეს შესახებ. ეს გამოჩენილი არტისტი ქალი დაიბადა, თურმე, რკინის გზაზედ, ვენეციის მახლობლად, 3 ოქტომბერს 1859 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც მილანი ეგებებოდა ფრანგებს, როგორც თავიანთს მხსნელებს და განმათავისუფლებლებს. საშინელი ავ-ზნიანი ბავშვი იყო, ამიტომ მშობლები ამობდნენ ხუმრობით: არც საკვირველია, შენ ხარ შვილი 1859 წლის, შენ სხეულს აზის ომიანობის დაღი". 4 წლისა იყო დუზე, რომ ითამაშა სცენაზედ კოზეტის როლი; 14 წლისა თავისუფლად თამაშობდა დიუმა—მამის პიესებში და „რომეო და ჯულიეტა“-ში. 20 წლისა იყო, რომ ნეაპოლში საზოგადოება დიდს აღტაცებაში მოიყვანა თავისის თამაშით. ორის წლის შემდეგ გამოჩენილმა როსსიმ საჯაროდ აღიარა, რომ დუზე დიდებული არტისტიაო. ახლა დუზე ოცდა მეთვრამეტე წლისაა, შედარებით ახალგაზდა, სრულად განვითარებული. ეხლა ხან ელეონორა დუზე ეწვია პარიზს. აი რას სწერენ გაზეთები ამის გამო. დიდი ხანია პარიზს არ უნახავს ისეთი სალამო, როგორიც იყო გუშინდელი: დუზემ პირველად ითამაშა ფრანგების წინაშე უმთავრესი როლი სარა ბერნარისა პიესაში „დამა კამელიებით“, სარრა ბერნარის თეატრში და სარრა ბერნარის დასწრებით. ყველა ჟურნალ-გაზეთები, ყველა კრიტიკოსები, ყველა ავტორები და არტისტები აქ იყვნენ. დიდი ხანია თეატრს პარიზშიაც არ უნახავს ამოდენა ხალხი. ყველა მოვიდა რათა შეედარებინა ერთმანეთისათვის ორი პირველი, მსოფლიო, არტისტი ქალი, ორი საკვირველება ჩვენის დროისა. მაგრამ აგერ გამოჩნდა დუზე! მისმა ბუნებრივმა, მარტივმა თამაშმა ჯერ აქ არ ნახულმა მთლად შებოჭა და შეიპყრო საზოგადოება, დაავიწყა ყველას, თუ რისთვის იყვნენ მოსულნი. ვილას ახსოვდა შედარება? ყველას სწყუროდა ეცქირნა და დამტკბარიყო ამ შესანიშნავის არტისტის-ქალის თამაშით. ფრანგებმა ნახეს დუზე და პირუთვნელად აღიარეს, რომ იგი დიდი, გენიოსი არტისტია. მე ვხედავდი, ვითარ თვისდა უნებურად ტიროდნენ მამაკაცნი, ვითარის აღტაცებით ტაშს უკრავდა თვით სარსე, მე ყური მოვკარ, როგორ თვით სარრა ბერნარს,—როდესაც სიჩუმეს შეეპყრა ზალა—წამოსცდა და მთელს თეატრში დაიძახა „ვაშა, ვაშა“! უპირველესნი არტისტნი ყვიროდნენ: ჯერ ჩვენს სიცოცხლეში მაგეთის თამაშის მნახველნი არა ვართო, ყოველ მოქმედების შემდეგ იხმობდნენ 3—4 ჯერ; ეს აქ არაჩვეულებრივი ამბავია, ანტრაქტებში ჟურნალისტები თავ-პირს მიიმტვრევდნენ დიდებულს არტისტ ქალისკენ, მაგრამ ის ჩაიკეტებოდა ხოლმე ოთახში და არავის არ იღებდა. პარიზმა ამ სალამოს უკვდავ ჰყო სამუდამოდ ელეონორა დუზეს სახელი.

იმავე პარიზში ელეონორა დუზეს სცეს არაჩვეულებრივი პატივი საფრანგეთის გამოჩენილმა არტისტებმა. მათ საერთოდ სთხოვეს, რომ ერთი წარმოდგენა გაემართა დუზეს საკუთრივ ფრანგ-არტისტებისთვის. დუზემ ეს თხოვნა უდიდესს პატივის ცემით მიიღო და დიდის სიამოვნებით ითამაშა აურებელის ხალხის წინაშე, რომელთა შორის სულ არტისტები იყვნენ, ბევრი მათგანი გამოჩენილიც. აგრეთვე მწერლები, ჟურნალისტები, პროფესორები და სხვა.

კატთან,—აღმოჩნდა, რომ ადვოკატი კამორის წევრია; გაიგებს რა ადვოკატი მის შეძლებას, მაშინათვე აცნობებს კამორას. კამორა იმ წუთსავე მოსთხოვს, რამდენიმე სასყიდელი შეიტანოს მის სასარგებლოდ. მის წინ წარსდგება კეთილშობილურად ჩაცმული კაცი და სთხოვს ფულებს. ისიც, რასაკვირველია, უარს ვერ გაუბედავს, რადგანაც, აშკარად იცის, თუ უარი განუცხადა, სიკვდილს ან აკლებას ვერ გადურჩება.

სიცილიაშიაც არის ასეთივე საიდუმლო ბრბოთა ამხანაგობა, რომელსაც სახელად მაფია ჰქვიან. ეს ამხანაგობა მეტად ძლიერია და მთელს სიცილიას ნამდვილს ხარჯს ახდევინებს; დიდი გავლენა აქვს სასამართლოებზედ, მმართველობაზედ და თითქმის ხელში უჭირავს მთელის კუნძულის ბედ-იღბალი. როცა გაიგო მთავრობამ, რომ არ ძალუძს მისი შელაგმვა, დიდი ხანია, უკვე ფარხმალი დაჰყარა და თავი მიანება. თვით სასამართლოც-კი ისეთ ნაირად არის დაშინებული, რომ მათზედ შემოსულ საჩივრებს უშედეგოდ სტოვებს ხოლმე.

მაფიას წევრები ვისმე თვალში ამოიღებენ თუ არა, მაშინვე წერილს უგზავნიან: „მე შემეძლო ცეცხლი წამეკიდებინა თქვენის სახლისთვის და მთლად გადმებუგა თქვენი საცხოვრებელი, მაგრამ ყველა ამას ვტოვებ ხელ-უხლებლივ, უკეთუ ამდენსა და ამდენს ფულს შემოიტანო“ და აბა კარგი კაცი იქნება და გაბედავს ვინმე და უარს შეუთვლის. იმას სიკვდილი და აკლება არ ასცდება.

ამ ორ ამხანაგობის გარდა, მრავალი სხვა ბრბონი დაიარებიან, უმთავრესად სამხრეთ იტალიაში. ხალხი მათ დიდის თანაგრძნობით ექცევა. ზემოდ დასახელებული საზოგადოებები გაურჩევლივ ჰყვლეფავენ ყველას, ვინც-კი მოხვდებათ, მდიდარს თუ ღარიბს; პატარა ბრბონი-კი მარტო მდიდრებსა ყვლეფავენ და ღარიბებს-კი, პირიქით, თითონვე უნაწილებენ ნადავლიდან. სოფლის მცხოვრებნი მათ საზრდოს უზიდავენ და ატყობინებენ წინდაწინვე, თუ საიდანმე განსაცდელი მოელით. ამასთანავე ესენი ძალიან იშვიათად ჰკლავენ ვისმე და, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, ისევ უბრუნდებიან მშვიდს სოფლიურს ცხოვრებას. ამ ბრბოს წევრნი საშინელი ღვთის მოყარენი არიან, მუდამ ლოცულობენ, ღმერთს შველასა და შემწეობას შესთხოვენ და პირობას აძლევენ, ნადავლის ერთს ნაწილს შემოგწირავთო. და თუ მართლა საქმე კარგათ წაუვიდათ, დიდ შესაწირავებს მიართმევენ ხოლმე ეკკლესიებს. ამასთანავე, ძალზე ცრუ-მორწმუნენი არიან, იკეთებენ სხვა და სხვა ჯადოქარობას და წმინდათა ნაწილებს ატარებენ. ამისთანა ბრბოებში არა იშვიათად ქალებიც იღებენ მონაწილეობას და კიდევაც მეთაურობენ. ამ მოკლე ხანში იტალიური გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ჩრდილოეთ იტალიაში შესდგა მძლავრი ბრბო, რომელსაც წინამძღოლობს ახალგაზდა ქალი მარია მანიკო. მანიკო, თურმე, მეტად ლამაზია, ცოლად ჰყავდა ერთ იტალიელს ყაჩაღს, მაგრამ, რადგანაც ქმარი იტალიის ჯარმა მოუკლა, ამიტომ ახალგაზდა ქალმა მტკიცედ შეჰფიცა მკვდრის სხეულს, რომ სამაგიეროს გადავუხდი მკვლელებსო, და თამამად გაიდო თოფი მხარზედ. ჩქარა მთელმა იტალიამ იგრძნო მისი მრისხანე დაწიოკება და დაფორიაქება მცხოვრებთა. ყველგან, სადაც-კი გაჩნდებოდა ეს მამაცი ქალი, ცეცხლსა და ნავთს აძლევდა ყველაფერს.

ყველა ამ უბედურების გარდა, იტალიაში საშინლად არის გავრცელებული ბავშვებით ვაჭრობა. ქალაქად და სოფლად დადიან მრავალნი უცხოელნი, რომელნიც სულ იაფად ჰყიდულობენ დამშეულ მშობლებისაგან ბავშვებს; რამდენადაც უფრო ლამაზია ბავშვი, მით უფრო მეტს სასყიდელს აძლევენ. მართალია, მთავრობამ, გარდა ხანია, აღკრძალა ეს სამარცხვინო ვაჭრობა, მაგრამ ჩუმად მაინც კიდევ მრავალი იყიდება. მსყიდველებს ეს ცოცხალი საქონელი გადაჰყავთ ინგლისს, საფრანგეთში, ამერიკაში და ჯამბაზებათ ან მეარღნეებათ ხდიან. აი ასეთს საზარს მდგომარეობაში არის დღეს იტალია.

ზ. ფრონელი.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავლის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანნეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლალიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქნ ნინო ბერეჟიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.

ლანჩხუთში—„შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადეშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე გოლეთლიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცკალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.

ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—12) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული

ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი

„ქართველთა ცოდვა“ ასამდე სურათით

და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს

5 მანათად.

ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—13)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Іюля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია